

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №

ქალაქ ქუთაისში, ნიკვას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი №02/700) არსებული
მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და
დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის
„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო
საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და
ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“
ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის
საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ
ქუთაისში, ნიკვას ქუჩის №21-ში (ნაკვეთი №02/700); (ნაკვეთი №02/700 - საკადასტრო
კოდი №03.05.02.700), არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის
შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით,
ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი
თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი





ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი N02/700); (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გდგ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე.

ქუთაისი 2026

წინამდებარე დოკუმენტაცია წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი N02/700); (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გდგ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების დავალებას, რომელიც მომზადებულია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“ შესაბამისად და სავალდებულოა შესასრულებლად ინიციატორისთვის.



დავალება

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი N02/700); (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გდგ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე.

წ ი ნ ა თ ე მ ა

ქალაქი ქუთაისი, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი N02/700 (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, სივრცით განვითარებასა და განაშენიანების მართვაში მუნიციპალური თუ კერძო პირების ინტერესების მაქსიმალურად დაახლოებისა და შეჯერებისთვის, ჰარმონიზებული და ინტეგრირებული დარგობრივი განვითარების მისაღწევად, როგორც დაგეგმილი ცვლილებების, ისე მიმდინარე ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ურთიერთ-თავსებადობის უზრუნველსაყოფად, მერის გადაწყვეტილებითა და საკრებულოს თანხმობით (-----), მომზადდა წინამდებარე დავალება, მასზე თანდართული დოკუმენტაციით.

წინამდებარე დოკუმენტაცია წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი N02/700); (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გდგ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების დავალებას, რომელიც მომზადებულია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“ შესაბამისად და სავალდებულოა შესასრულებლად ინიციატორისთვის.

წინამდებარე დავალების მიზანია დაგეგმვაში მონაწილე პირებს სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების წინაპირობების და საჭიროებების, მეთოდებისა და მისაღები შედეგების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.



1. სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; გეგმარებითი ერთეულის დაზუსტება.

1. გეგმარებითი ერთეული განისაზღვროს/დაზუსტდეს „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №260 დადგენილების №5 დანართის შესაბამისად.
2. გეგმარებით ერთეულში შესულ დაურეგისტრირებელ ან სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის ნაწილით რეკომენდირებული ზონა.
3. დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მომიჯნავე ნაკვეთების განვითარების შესაძლებლობები და ინტერესები;
4. დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნეს ქვეითებისთვის განკუთვნილი კავშირები მომიჯნავე კვარტლებთან;

2. შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა და ფუნქციური დანიშნულება.

1. აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტით;
2. საჭიროებისამებრ დემონტაჟის პროექტის გათვალისწინებით განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;
3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის დამუშავების ეტაპზე წარმოსადგენი და გასათვალისწინებელია საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არსებული მიწისქვეშა, მიწისზედა და საჰაერო-საინჟინრო კომუნიკაციების მეპატრონეების თანხმობები დაგეგმილ მშენებლობაზე, ასევე გასათვალისწინებელია, ხაზობრივი ნაგებობების მეპატრონეთა მოთხოვნები.
4. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის დამუშავების ეტაპზე გასათვალისწინებელია შსს სსდ - „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური“-ს მოთხოვნები. (იხ.დანართი)

3. მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა)

1. ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვრება ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში დადგენილი სამართლებრივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე;
2. დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
3. შენობის განთავსების ადგილები განისაზღვროს საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად;
4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განხორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირებმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;



5. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმები და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
6. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
7. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზე გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;

4. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა

1. მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან;
2. წარმოდგენილი იქნეს მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება, საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი და გამწვანების დენდროლოგიური პროექტი;
3. განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
4. დაცული უნდა იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები;
5. გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად, შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით და შეთანხმებულ იქნას შესაბამის სამსახურებთან;

5. ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

1. დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი რეგლამენტების მიხედვით დაგეგმარებული საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
2. ტერიტორიაზე განთავსებული (არსებობის შემთხვევაში) ხაზობრივი ნაგებობები/საინჟინრო კომუნიკაციები, განაშენიანების დეტალური გეგმის შეთანხმების ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებული გეგმები შეზღუდვის ბუფერების დატანით (ზომების მითითებით);
3. გდგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა);
4. მიწის ნაკვეთების გამიჯვნისას, ცალკეული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული იქნეს თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;
5. ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“, საქართველოს მთავრობის N261 დადგენილების მიხედვით; ავტოსადგომების განთავსება მოხდეს მიწისქვეშა/ შენობის სივრცეში.
6. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო ქსელების გადატანის სქემები, შეზღუდვის არეალების დატანით და შესაბამისი თანხმობები ამ სამუშაოების შესაძლო განხორციელებაზე ქსელების მესაკუთრეებისგან წარმოდგენილ უნდა იქნას გდგ-ს დამტკიცების ეტაპზე;



6. წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა თანხმობები/მინდობილობები

1. განაშენიანების დეტალური გეგმის გეგმარებითი დავალება და შემდგომში განაშენიანების დეტალური გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში; ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეეხება სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთს შეთანხმებული უნდა იყოს „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-სთან

7. განაშენიანების რეგულირების ხაზები

1. წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას;
2. განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გდგ-ს პროექტით. ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გდგ-ს მიზნებს;

8. შესამუშავებელი დოკუმენტები

წინამდებარე დავალების საფუძველზე უნდა მომზადდეს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურს მიეწოდოს, კოდექსით დადგენილი ინტეგრირებული სახით ¹ **დაგეგმვის შედეგები — ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია** განაშენიანების დეტალური პროექტის სახით.

8.1.1. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემადგენლობა:

წინამდებარე დავალების საფუძველზე უნდა მომზადდეს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეწოდოს შემდეგი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები:

- 1) მიწის ნაკვეთების მონაცვლების გეგმა; ² (საჭიროების შემთხვევაში)
- 2) ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა; ³ (საჭიროების შემთხვევაში)
- 3) განაშენიანების დეტალური გეგმა მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონირების თვალსაზრისით უნდა აღგენდეს:
 - ა) ფუნქციურ ქვეზონებს, ამ ქვეზონებში განაშენიანების რეგულირების შემდეგ პარამეტრებს:
 - ა.ა) განაშენიანების მაქსიმალურ კოეფიციენტს;
 - ა.ბ) განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ კოეფიციენტს ან ერთდროულად განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ და მინიმალურ კოეფიციენტებს;
 - ა.გ) გამწვანების მინიმალურ კოეფიციენტს;
 - ა.დ) განაშენიანების სართულიანობის ან/და სიმაღლის მაქსიმალურ მაჩვენებელს;
- 4) განაშენიანების სახეობა (ქვეზონის შესაბამისად);
- 5) განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელ ხაზებს);
- 6) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯ ხაზებს);
- 7) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საინჟინრო-კომუნალურ ქსელები;
- 8) ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა;

¹ საჭიროების შემთხვევაში მათგან შესაძლებელია გამოცალკევდეს და დამოუკიდებელ გეგმად დამუშავდეს/მიეწოდოს შემსყიდველს დარგობრივი მიმართულებები (მაგ. საერთო სარგებლობის ტერიტორიების განვითარება; გამწვანებული ტერიტორიების დაცვა და განვითარება - ტაქსონომიური ღონის შესაბამისად).

² გეგმარებით ერთეულში მიწის ნაკვეთების დაყოფის, გაერთიანების, საზღვრების ცვლის და/ან ადგილმონაცვლების საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში.

³ გეგმარებით ერთეულში საერთო სარგებლობის (საჯარო) ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში.



- 9) ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგების, წყალმომარაგების, წყალარინების, ტელეკომუნიკაციის და სხვა სისტემები. ასევე შესაბამისი პროვაიდერი კომპანიების თანხმობები;

8.2. საწყისი მონაცემები

8.2.1. დაგეგმვის საჭიროება

კოდექსის მიხედვით, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის საჭიროება არის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის მიზნების, ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტი და აუცილებლობა, რომლებსაც ადგენს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. გეგმების შემუშავების წესის თანახმად კი, დაგეგმარების საჭიროების შემთხვევაში, გეგმების შემუშავება აუცილებელია.⁴ იმავე წესის მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია გღგ შემუშავების ინიცირების სავალდებულობა, როდესაც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება მაინც:

ა) მიწის ნაკვეთებისათვის ძირითადი დებულებებით განსაზღვრული კვლევის საფუძველზე შეუძლებელია განაშენიანების რეგლამენტების დადგენა.

ბ) ხორციელდება უშუალო ტერიტორიის განაშენიანება;

გ) კოდექსის 67-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება იწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს (მათ შორის, ინფრასტრუქტურული მოწყობის, განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის, ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენების ჩამოყალიბებული/დაგეგმილი ბალანსის და განაშენიანების სხვა მსგავსი მახასიათებლების ცვლილებას);

დ) გენერალური გეგმით/განაშენიანების გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში.

8.2.2. დაგეგმილი ცვლილებების მიზანი

დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო ტერიტორია ქალაქ ქუთაისის გეგმის კონცეფციის ნაწილის მიხედვით ხვდება ინდუსტრიულ ზონაში (იზ), კერძოდ საწარმოო ზონაში (იზ-1).

გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების მიზანია ტერიტორიაზე განვითარდეს საცხოვრებელი ფუნქციის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. საპროექტო ტერიტორია შედგება ერთი საკადასტრო ერთეულისაგან (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700) ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 36 191 კვადრატულ მეტრს.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი N02/700); (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700). დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება რეგისტრირებული შენობა-ნაგებობები. ტერიტორიას დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთიდან ნიკეას მე-7 ჩიხი.

⁴ გეგმების შემუშავების წესი, მუხლი 4 და 5. (25)



დავალება ქალაქ ქუთაისში, ნიკას ქუჩის №21-ში, (ნაკვეთი N02/700); (საკადასტრო კოდი: 03.05.02.700) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის (გღმ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე.

8.2.3. სავარაუდო გეგმარებითი ერთეული



ილ. 1. გეგმარებითი ერთეულის (და საკვლევი არეალის) დაზუსტებული საზღვარი. ⁵

⁵ გეგმების შემუშავების წესის დანართი N5-ის, მე-9 პუნქტის შესაბამისად.



8.3.საინფორმაციო დაფა

დაგეგმვის საჯაროობის უზრუნველსაყოფად გეგმარებით ერთეულში, საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოეკრას საინფორმაციო დაფა.

განაშენიანების გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე ინფორმაცია (მათ შორის, გეგმარებითი არეალის ზუსტი საზღვრების შესახებ ინფორმაცია) ინიციატორმა უნდა გამოაქვეყნოს განაშენიანების დეტალური გეგმის შემთხვევაში ინფორმაცია საინფორმაციო დაფაზე დაინტერესებულმა პირმა უნდა განათავსოს გეგმარებითი ერთეულის მიმდებარედ, საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.

განაშენიანების (დეტალური) გეგმის შემუშავება საინფორმაციო დაფა ⁶	
ინიციატორი:	_____ მუნიციპალიტეტის მერია კერძო ინიციატივის საფუძველზე
გადაწყვეტილება გ(დ)გ ინიცირების თაობაზე:	მერის ბრძანება N_ _ _ _ . _ _ _
დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრები:	_____ მუნიციპალიტეტში, _____ უბანში, _____ ქუჩებით შემოსაზღვრულ გეგმარებით ერთეულში. მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. _ _)
დაინტერესებული პირებისაგან მოსაზრებებისა და შეფასებების მიღების პერიოდი:	_____ . _ . 202_ — _____ . _ . 202_
განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვის და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების ვადები (სავარაუდო):	_____ . _ . 202_ — დან არაუმეტეს 40 სამუშაო დღე
დამამტკიცებელი ორგანო	_____ მუნიციპალიტეტის საკრებულო
დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:	_____ .ge

ილ. 2. საინფორმაციო დაფის ბლანკეტური ფორმა.

მისი გამოქვეყნების მინიმალური ზომები არ უნდა იყოს A1 ფორმატის პლანშეტზე მცირე.

⁶ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება განაშენიანების გეგმის/ განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით



8.4. საბაზისო მონაცემების მატრიცა

საბაზისო მონაცემთა მატრიცის ფაილი დავალებას ერთვის დანართად. დამატებით შეგიძლიათ მისი გამოთხოვა სამსახურიდან.